



2022 წ.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-სექტემბერი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ოქტომბერი, 2022 წ.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით¹ შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 19,362.6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 19,171.1 მლნ ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარ-სექტემბერში შემოსულობების შესრულება შეადგენს 14,001.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 72.3%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,110.1 მლნ ლარით (8.6%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 13,664.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 71.3%) და 795.0 მლნ ლარით (5.5%-ით) ნაკლებია წინა წლის იანვარ-სექტემბერის მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2022 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 9 თვის შესრულების მაჩვენებლები.



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 9 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2022 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია² 13,712.3 მლნ ლარით, ხოლო 9 თვის შესრულება მის 102.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლებისა და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მაჩვენებელი და შესაბამისად შეადგენს 9 თვის გეგმის 107.0%-ს და 108.9%-ს. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებას და ვალდებულებების ზრდას, აღნიშნული კომპონენტების მაჩვენებლები შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და შესაბამისად შეადგენს 9 თვის გეგმის 80.2%-ს და 83.8%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 14,066.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 9 თვის შესრულება 9 თვის გეგმის 97.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 98.2%-ია. შესრულების კარგი დონით ხასიათდება არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი - 9 თვის გეგმის 98.4%, ხოლო შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა გადასახდელების დანარჩენი 2 კომპონენტის - ფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება - მაჩვენებლები და შესაბამისად შეადგენს 9 თვის გეგმის 76.5%-ს და 86.2%-ს.


¹ საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 17 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.
² „საქართველოს 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხრის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 29 დეკემბრის 354 ბრძანება.

დასახელება	2022 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება	9 თვე/9 თვის გეგმა	დასახელება	2022 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება	9 თვე/9 თვის გეგმა
შემოსულობები	19,362.6	13,712.3	14,001.5	102.1%	გადასახდელები	19,171.1	14,066.0	13,664.1	97.1%
შემოსავლები	14,560.4	10,739.5	11,493.2	107.0%	ხარჯები	14,415.3	10,819.9	10,623.5	98.2%
არაფინანსური აქტივების კლება	300.0	194.0	155.7	80.2%	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,059.8	2,152.1	2,117.3	98.4%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	96.0	104.6	108.9%	ფინანსური აქტივების ზრდა	459.0	202.3	154.7	76.5%
ვალდებულებების ზრდა	4,352.2	2,682.7	2,248.1	83.8%	ვალდებულებების კლება	1,237.0	891.7	768.7	86.2%

ცხრილი 1: 2022 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ³ 9 თვეში შეადგინა 869.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ⁴ - -1,091.8 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2022 წლების 9 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მანკვინებლები.

2012-2022 წლების 9 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2012-2022 წლების 9 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 881.4 მლნ ლარი. იანვარ-სექტემბერში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 337.5 მლნ ლარი შეადგინა და 2022 წლის 1 ოქტომბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,218.9 მლნ ლარის ოდენობით.

³ საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


⁴ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვინკვინებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეების თვის მაჩვენებლები

2022 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,981.0 მლნ ლარი, რაც აგვისტოს მაჩვენებელს 614.8 მლნ ლარით აჭარბებს, ხოლო წინა წლის სექტემბრის მაჩვენებელს 619.2 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2022 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,837.6 მლნ ლარს, რაც აგვისტოს მაჩვენებელზე 476.6 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2021 წლის სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით 240.9 მლნ ლარით გაზრდილია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2020-2022 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (73.2%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (25.6%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 0.3 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 23.9 მლნ ლარი.


2022 წლის სექტემბერში ხარჯების მაჩვენებელმა 1,202.9 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებმა შესაბამისად, 478.6 მლნ ლარი და 39.0 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 117.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც სექტემბერში მიღებული შემოსავლების 92.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 67.5% მოდის. კერძოდ:


გადასახადები სახეების მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,336.8 მლნ ლარი, აგვისტოს მარგენებელზე (1,049.5 მლნ ლარი) 287.3 მლნ ლარით მეტი. აღნიშნული ზრდა ძირითადად უკავშირდება სხვა გადასახადს, რომლის მოცულობაც გაზრდილია 316.8 მლნ ლარით და შეადგენს 19.5 მლნ ლარს⁵, აგრეთვე, მოგების გადასახადს (იმატებს 71.5 მლნ ლარით). წინა თვესთან შედარებით ყველა დანარჩენი გადასახადი შემცირებულია: დღგ - 41.0 მლნ ლარით, საშემოსავლო გადასახადი - 14.3 მლნ ლარით, აქციზიდან შემოსავალი - 44.6 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის კლების გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 1.2 მლნ ლარით.

ხარჯები სახეების მიხედვით



დიაგრამა 7: გაწეული ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი სექტემბერში გაწეული მთლიანი გადასახდელების 65.5%-ს შეადგენს. კერძოდ, სექტემბერში ხარჯებმა შეადგინა 1,202.9 მლნ ლარი, წინა თვის მარგენებელზე (1,056.7 მლნ ლარი) 146.2 მლნ ლარით მეტი. სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, გაზრდილია სხვა ხარჯების, სუბსიდიებისა და შრომის ანაზღაურების მუხლების დაფინანსება, შესაბამისად, 171.7 მლნ ლარით, 27.8 მლნ ლარით და 1.5 მლნ ლარით. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება შემცირებულია 30.3 მლნ ლარით, პროცენტის - 19.1 მლნ ლარით, გრანტების - 4.4 მლნ ლარით და საქონელი და მომსახურება - 1.1 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2022 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 247.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -207.5 მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სექტემბერში მიღებული შემოსულობებისა (1,981.0 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,837.6 მლნ ლარი) გათვალისწინებით, სექტემბრის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 143.5 მლნ ლარი.

⁵ 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე. შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 14,001.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.1%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2020-2021 წლებთან შედარებით გაზრდილია, რაც ძირითადად განპირობებულია საგადასახადო შემოსავლების მატებით. რაც შეეხება შემოსავლების წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. კერძოდ, 2021 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 69.8%-ს, ხოლო 2020 წელს - 59.7%-ს. ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად მთლიან შემოსულობებში, შემცირებულია: კერძოდ, 2022 წლის 9 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 16.1%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წელს 28.3%-ს და 2020 წელს 38.8%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.9%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2021 წელსაც 1.9%-ს, ხოლო 2020 წელს 1.5%-ს შეადგენდა.


შემოსავლების სახით 9 თვეში მიღებულია 11,493.2 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 107.0% და წლიური გეგმის 78.9%, წინა წლის მაჩვენებელს კი 2,497.0 მლნ ლარით (27.8%-ით) აღემატება. რაც შეეხება 9 თვის გეგმასთან მიმართებით შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გადასახადები კარგი შესრულების დონით გამოირჩევა, ხოლო სხვა შემოსავლებისა და გრანტების შესრულებაში ვლინდება მნიშვნელოვანი დადებითი გადახრები.

იანვარ-სექტემბერში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 10,288.2 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 103.7%-ს და წლიური გეგმის 76.6%-ს შეადგენს. ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადისა, რომლის 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 143.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო შესრულების მაჩვენებელი -579.2 მლნ ლარს შეადგენს) მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება, თუმცა შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა დამატებული ღირებულების, მოგებისა და იმპორტის გადასახადები, რომელთა სახით ბიუჯეტში 9 თვეში მიღებულია 9 თვის საგეგმო მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 11.8%-ით, 20.2%-ით და 47.5%-ით მეტი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მნიშვნელოვნად, 2,202.1 მლნ ლარით (27.2%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 36.9%-იანი, 97.3%-იანი და 24.4%-იანი ზრდით. საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 793.1 მლნ ლარით (35.7%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-სექტემბერში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 4,372.1 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 858.4 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 293.9 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან 564.5 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 9.7%-ით (123.9 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციიდან შემოსავლის ზრდის გავლენით. (მ.შ. თამბაქოსა და იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან აქციზი გაზრდილია, შესაბამისად, 62.0 მლნ ლარით და 27.5 მლნ ლარით).

2020-2022 წწ. 9 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 8: 2020-2022 წწ. 9 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამა 9: 2021-2022 წწ. 9 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

გრანტების ფაქტობრივი მარვენებელი (290.0 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის 145.9%-ს და წლიური გეგმის 84.9%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 9 თვეში მიღებულია 73.7 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, 9 თვეში ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 9 თვის გეგმის 101.4%, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან - 132.7% (69.7 მლნ ლარი) და საინვესტიციო გრანტების სახით - 95.1%.

სხვა შემოსავლებმა 9 თვეში 915.0 მლნ ლარი შეადგინა, რამაც უკვე გადააჭარბა, როგორც 9 თვის (48.8%-ით), ასევე, წლიურ (15.1%-ით) საგეგმო მარვენებლებს. აღნიშნული ძირითადად დაკავშირებულია საკუთრებიდან (ძირითადად ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების სახით შემოსავლების 156.1 მლნ ლარიანი გადაჭარბების გავლენით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან შემოსავლების (9 თვის გეგმასთან შედარებით), შესაბამისად, 55.9%-იანი და 63.8%-იანი გადაჭარბებით მიღებასთან.

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 9 თვეში შესრულების შედარებით დაბალი მარვენებლით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 80.2%-ს და წლიური გეგმის 51.9%-ს შეადგენს.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით 9 თვეში მიღებულია 104.6 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 108.9% (წლიური გეგმის 69.7%), რაც ძირითადად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებმა იანვარ-სექტემბერში 2,248.1 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 83.8% (წლიური გეგმის 51.7%) შეადგინა. საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 1,340.8 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 96.7%. კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 260.7 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 100.3%, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 1,080.1 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 95.8%).

	9 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	2,248.1	83.8%	51.7%
საგარეო საბიუჯეტო კრედიტები	1,340.8	96.7%	43.9%
საინვესტიციო კრედიტები	260.7	100.3%	21.7%
საშინაო	1,080.1	95.8%	58.3%
საშინაო	907.3	70.0%	69.8%


ცხრილი 2 : 2022 წლის 9 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 907.3 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 70.0%) შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2022 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 13,664.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 77.7%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2020-2021 წლებთან შედარებით, ხოლო მისი წილი გადასახდელებში აჭარბებს 2021 წლის მონაცემს და მცირედით ჩამორჩება 2020 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, 2020 წლის 9 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 78.3%-ს, ხოლო 2021 წლის 9 თვეში - 69.0%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 15.5% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.1% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.6%. 2021 წლის იანვარ-სექტემბერში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 12.1%-ის, 1.6%-ის და 17.3%-ის ოდენობებით, ხოლო, 2020 წლის იანვარ-სექტემბერში - 13.2%-ის, 2.1%-ის და 6.4%-ის ოდენობებით.

2020-2022 წწ. 9 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2020-2022 წლების იანვარ-სექტემბერში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულებამ იანვარ-სექტემბერში შეადგინა 10,623.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 98.2% და წლიური გეგმის 73.7%, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 648.1 მლნ ლარით (6.5%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან (გარდა პროცენტისა და სუბსიდიებისა, რომლებიც შემცირებულია შესაბამისად 30.4 მლნ ლარით და 56.8 მლნ ლარით). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სხვა ხარჯების (341.1 მლნ ლარი) მუხლზე. 9 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა საქონელი და მომსახურების (106.4%), სოციალური უზრუნველყოფის (100.5%), პროცენტის (97.0%) და სხვა ხარჯების (95.2%) მუხლები, ხოლო 9 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება, გრანტების (89.4%), სუბსიდიების (93.8%) და შრომის ანაზღაურების (94.1%) მუხლები. პროცენტის მუხლის შესრულებიდან (568.0 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 407.9 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 160.0 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (4,496.7 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (3,063.1 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (1,176.2 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (208.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2021-2022 წწ. 9 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (2,117.3 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 98.4%-ს და წლიური გეგმის 69.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,273.2 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (314.9 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (120.5 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (71.7 მლნ ლარი) და ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციაზე (64.1 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (154.7 მლნ ლარი), 9 თვის გეგმის 76.5%-ს და წლიური გეგმის 33.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხზე 41.9 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს პროგრამის (პროგრამული კოდი 24 19) „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ ფარგლებში გაცემულ სესხზე 3.2 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრაგრამის „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 65.1 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს პრაგრამის „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 3.9 მლნ ლარის ოდენობით, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების“ (პროგრამული კოდი 55 04) ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გაცემულ სესხზე 20.0 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 20.7 მლნ ლარის ოდენობით.


ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (768.7 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 86.2%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით 62.1%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 733.8 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	9 თვის შესრულება	შესრულება 9 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	768.7	86.2%	62.1%
საგარეო	733.8	85.7%	61.5%
საშინაო	34.9	98.9%	80.6%

ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2022 წლის 9 თვეში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-სექტემბერში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 1,328.5 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 90.4% და წლიური გეგმის 66.6%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 431.7 მლნ ლარი, საიდანაც 240.8 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 180.8 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 10.1 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-სექტემბერში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 208.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 196.9 მლნ ლარის, 16.6 მლნ ლარის და 5.7 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის⁶ მიხედვით შეადგინა 12,740.7 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 98.2% და წლიური გეგმის 72.9%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



დიაგრამა 12: 2022 წლის 9 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

-) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2012-2022 წლების იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
-) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2021-2022 წლების იანვარ-სექტემბერში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

⁶ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2020 წლის 9 თვის შესრულება	2021 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის წლიური გეგმა	2022 წლის 9 თვის გეგმა*	2022 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის 9 თვის შესრულება / 2022 წლის 9 თვის გეგმა		2022 წლის 9 თვის შესრულება / 2021 წლის 9 თვის შესრულება		2022 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	12,793.7	12,891.4	19,362.6	13,712.3	14,001.5	289.3	102.1%	1,110.1	8.6%	72.3%
შემოსავლები	7,638.6	8,996.2	14,560.4	10,739.5	11,493.2	753.7	107.0%	2,497.0	27.8%	78.9%
გადასახადები	6,973.6	8,086.1	13,423.7	9,925.9	10,288.2	362.3	103.7%	2,202.1	27.2%	76.6%
საშემოსავლო გადასახადი	2,221.6	2,517.5	4,300.0	3,211.0	3,446.1	235.1	107.3%	928.6	36.9%	80.1%
მოგების გადასახადი	744.3	790.9	1,620.0	1,298.0	1,560.7	262.7	120.2%	769.8	97.3%	96.3%
დღგ	2,796.4	3,513.7	5,398.7	3,909.9	4,372.1	462.2	111.8%	858.4	24.4%	81.0%
აქციები	1,073.8	1,277.6	1,890.0	1,305.0	1,401.5	96.5	107.4%	123.9	9.7%	74.2%
იმპორტის გადასახადი	55.5	60.8	85.0	59.0	87.0	28.0	147.5%	26.2	43.1%	102.4%
სხვა გადასახადები	82.0	-74.4	130.0	143.0	-579.2	-722.2	-405.0%	-504.7	678.2%	-445.5%
გრანტები	121.6	312.9	341.8	198.8	290.0	91.2	145.9%	-22.8	-7.3%	84.9%
სხვა შემოსავლები	543.5	597.2	795.0	614.8	915.0	300.1	148.8%	317.8	53.2%	115.1%
არაფინანსური აქტივების კლება	79.7	161.8	300.0	194.0	155.7	-38.3	80.2%	-6.2	-3.8%	51.9%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	114.8	81.6	150.0	96.0	104.6	8.6	108.9%	23.0	28.2%	69.7%
ვალდებულებების ზრდა	4,960.5	3,651.8	4,352.2	2,682.7	2,248.1	-434.7	83.8%	-1,403.7	-38.4%	51.7%
საგარეო	3,370.4	4,296.8	3,052.2	1,386.7	1,340.8	-45.9	96.7%	-2,956.0	-68.8%	43.9%
საშინაო	1,590.1	-645.0	1,300.0	1,296.0	907.3	-388.7	70.0%	1,552.3	-240.7%	69.8%
გადასახდელები	11,206.0	14,459.1	19,171.1	14,066.0	13,664.1	-401.9	97.1%	-795.0	-5.5%	71.3%
ხარჯები	8,777.6	9,975.4	14,415.3	10,819.9	10,623.5	-196.4	98.2%	648.1	6.5%	73.7%
შრომის ანაზღაურება	1,125.7	1,200.5	1,834.4	1,383.8	1,302.5	-81.4	94.1%	102.0	8.5%	71.0%
საქონელი და მომსახურება	1,033.5	1,214.4	1,613.9	1,242.4	1,322.4	80.1	106.4%	108.0	8.9%	81.9%
პროცენტი	538.5	598.4	765.0	585.3	568.0	-17.3	97.0%	-30.4	-5.1%	74.2%
სუბსიდიები	383.2	559.9	727.3	536.6	503.2	-33.5	93.8%	-56.8	-10.1%	69.2%
გრანტები	541.4	531.2	1,145.0	717.8	641.8	-76.0	89.4%	110.5	20.8%	56.0%
სოციალური უზრუნველყოფა	4,030.3	4,423.2	5,870.8	4,475.1	4,496.7	21.7	100.5%	73.6	1.7%	76.6%
სხვა ხარჯები	1,125.0	1,447.8	2,458.7	1,879.0	1,788.9	-90.1	95.2%	341.1	23.6%	72.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,479.2	1,747.7	3,059.8	2,152.1	2,117.3	-34.9	98.4%	369.5	21.1%	69.2%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	235.6	235.8	459.0	202.3	154.7	-47.6	76.5%	-81.2	-34.4%	33.7%
ვალდებულებების კლება	713.6	2,500.1	1,237.0	891.7	768.7	-123.0	86.2%	-1,731.4	-69.3%	62.1%
საგარეო	679.5	2,446.4	1,193.7	856.4	733.8	-122.6	85.7%	-1,712.6	-70.0%	61.5%
საშინაო	34.1	53.7	43.2	35.2	34.9	-0.4	98.9%	-18.8	-35.0%	80.6%
ნაშთის ცვლილება (+ დაბროშება / - გამოყენება)	1,587.6	-1,567.6	191.5	-353.7	337.5	691.2		1,905.1		

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხების მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის 354 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2020 წლის 9 თვის შესრულება	2021 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის წლიური გეგმა	2022 წლის 9 თვის გეგმა	2022 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის 9 თვის შესრულება / 2022 წლის 9 თვის გეგმა		2022 წლის 9 თვის შესრულება / 2021 წლის 9 თვის შესრულება		2022 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	7,638.6	8,996.2	14,560.4	10,739.5	11,493.2	753.7	107.0%	2,497.0	27.8%	78.9%
გადასახადები	6,973.6	8,086.1	13,423.7	9,925.9	10,288.2	362.3	103.7%	2,202.1	27.2%	76.6%
გრანტები	121.6	312.9	341.8	198.8	290.0	91.2	145.9%	-22.8	-7.3%	84.9%
სხვა შემოსავლები	543.5	597.2	795.0	614.8	915.0	300.1	148.8%	317.8	53.2%	115.1%
ხარჯები	8,777.6	9,975.4	14,415.3	10,819.9	10,623.5	-196.4	98.2%	648.1	6.5%	73.7%
შრომის ანაზღაურება	1,125.7	1,200.5	1,834.4	1,383.8	1,302.5	-81.4	94.1%	102.0	8.5%	71.0%
საქონელი და მომსახურება	1,033.5	1,214.4	1,613.9	1,242.4	1,322.4	80.1	106.4%	108.0	8.9%	81.9%
პროცენტი	538.5	598.4	765.0	585.3	568.0	-17.3	97.0%	-30.4	-5.1%	74.2%
სუბსიდიები	383.2	559.9	727.3	536.6	503.2	-33.5	93.8%	-56.8	-10.1%	69.2%
გრანტები	541.4	531.2	1,145.0	717.8	641.8	-76.0	89.4%	110.5	20.8%	56.0%
სოციალური უზრუნველყოფა	4,030.3	4,423.2	5,870.8	4,475.1	4,496.7	21.7	100.5%	73.6	1.7%	76.6%
სხვა ხარჯები	1,125.0	1,447.8	2,458.7	1,879.0	1,788.9	-90.1	95.2%	341.1	23.6%	72.8%
საოპერაციო სალდო	-1,139.0	-979.2	145.2	-80.4	869.8	950.1	-1082.0%	1,848.9	-188.8%	599.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,399.4	1,585.9	2,759.8	1,958.1	1,961.6	3.4	100.2%	375.7	23.7%	71.1%
ზრდა	1,479.2	1,747.7	3,059.8	2,152.1	2,117.3	-34.9	98.4%	369.5	21.1%	69.2%
კლება	79.7	161.8	300.0	194.0	155.7	-38.3	80.2%	-6.2	-3.8%	51.9%
მთლიანი სალდო	-2,538.4	-2,565.1	-2,614.7	-2,038.5	-1,091.8	946.7	53.6%	1,473.3	-57.4%	41.8%
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,708.4	-1,413.4	500.5	-247.5	387.6	635.0	-156.6%	1,800.9	-127.4%	77.4%
ზრდა	1,823.3	235.8	650.5	202.3	492.1	289.9	243.3%	256.3	108.7%	75.6%
ვალუტა და დეპოზიტები	1,587.6	0.0	191.5	0.0	337.5	337.5		337.5		176.2%
სესხები	235.6	235.8	459.0	202.3	154.7	-47.6	76.5%	-81.2	-34.4%	33.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
კლება	114.8	1,649.2	150.0	449.7	104.6	-345.2	23.3%	-1,544.6	-93.7%	69.7%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,567.6	0.0	353.7	0.0	-353.7	0.0%	-1,567.6	-100.0%	
სესხები	114.8	79.3	150.0	96.0	103.6	7.6	107.9%	24.3	30.6%	69.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.01	2.3	0.0	0.0	1.0	1.0		-1.3	-56.0%	
ვალდებულებების ცვლილება	4,246.9	1,151.7	3,115.2	1,791.1	1,479.4	-311.7	82.6%	327.7	28.5%	47.5%
ზრდა	4,960.5	3,651.8	4,352.2	2,682.7	2,248.1	-434.7	83.8%	-1,403.7	-38.4%	51.7%
საშინაო	1,590.1	-645.0	1,300.0	1,296.0	907.3	-388.7	70.0%	1,552.3	-240.7%	69.8%
საგარეო	3,370.4	4,296.8	3,052.2	1,386.7	1,340.8	-45.9	96.7%	-2,956.0	-68.8%	43.9%
კლება	713.6	2,500.1	1,237.0	891.7	768.7	-123.0	86.2%	-1,731.4	-69.3%	62.1%
საშინაო	34.1	53.7	43.2	35.2	34.9	-0.4	98.9%	-18.8	-35.0%	80.6%
საგარეო	679.5	2,446.4	1,193.7	856.4	733.8	-122.6	85.7%	-1,712.6	-70.0%	61.5%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2022 წლიური გეგმა	2022 წლის 9 თვის გეგმა	2022 წლის 9 თვის შესრულება	2022 წლის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2022 წლის 9 თვის შესრულება 9 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	19,171.1	14,066.0	13,664.1	71.3%	97.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	68.0	51.8	45.1	66.3%	87.1%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	56.3	42.8	37.1	66.0%	86.8%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	21.3	16.0	13.8	65.0%	86.6%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	6.7	5.0	5.4	80.7%	107.6%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	28.3	21.8	17.9	63.3%	82.2%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	28.2	21.7	17.9	63.3%	82.1%
01 01 03 02	პერსონალის პროფესიული განვითარება	0.1	0.1	0.1	68.4%	90.5%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	10.2	7.8	7.0	68.8%	90.3%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.5	0.4	0.3	62.8%	74.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.8	0.6	59.3%	80.4%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	8.8	6.8	5.9	66.9%	86.6%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.6	0.5	61.8%	82.2%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	19.2	15.0	20.8	108.5%	138.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	18.5	14.7	12.2	66.0%	83.2%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	31.5	23.9	24.3	77.2%	101.7%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	16.2	12.4	11.2	69.1%	90.7%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.4	1.2	0.8	56.7%	69.4%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	13.8	10.4	9.7	70.4%	93.8%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	0.0	0.0	2.5		
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.0	3.7	3.3	65.9%	87.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	14.4	10.8	9.5	66.3%	88.4%
09 00	საერთო სასამართლოები	99.1	73.6	59.4	59.9%	80.7%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	96.8	71.9	58.5	60.5%	81.4%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.3	1.8	0.9	38.6%	51.5%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.8	5.3	3.0	43.9%	56.1%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.0	0.7	0.7	71.8%	95.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	0.6	68.3%	92.9%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.9	0.7	0.7	72.0%	93.9%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.9	0.7	0.6	71.6%	95.1%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	0.6	70.3%	92.6%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	0.6	74.6%	98.1%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	0.6	76.6%	101.6%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.0	0.8	0.7	72.3%	90.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.6	0.5	69.1%	89.3%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	148.7	112.1	109.5	73.7%	97.7%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	125.3	93.6	86.6	69.1%	92.5%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	21.4	17.0	21.8	102.0%	128.2%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.0	1.5	1.1	55.8%	74.4%
21 00	საქართველოს პროკურატურა	47.9	36.2	33.4	69.8%	92.2%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3.1	2.4	2.4	77.5%	102.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	105.4	78.0	68.8	65.2%	88.1%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	22.6	16.9	18.0	79.8%	106.9%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	47.2	34.2	25.4	53.8%	74.1%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	24.6	18.5	17.9	72.7%	96.7%
